
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში 2010 წლის

15 აპრილს გამართული საჯარო დისკუსია
თემაზე:

„პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“

ძირითადი მომხსენებლები:

რონალდ ასპუსი – წიგნის, „პატარა ომი,
რომელმაც შეძრა მსოფლიო“ ავტორი, „The
German Marshall Fund of the US,
აღმასრულებელი დირექტორი

გია ნოდია – მშვიდობის, დემოკრატიისა და
განვითარების კავკასიური ინსტიტუტის
თავმჯდომარე

თინა ხიდაშელი – საერთაშორისო
სამართლის ექსპერტი

ირის კემპე – ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს
დირექტორი

მოდერატორი: ნინო დანელია

ნინო დანელია – დღეს ძალიან საინტერესო თემაზე ვსაუბრობთ – რონალდ ასმუსის წიგნზე „პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“. წიგნი არის ანალიზი იმ მოვლენებისა, რომლებმაც განაპირობა 2008 წლის აგვისტოს ომი. ეს არის მცდელობა, განვითარებული მოვლენები გლობალურ კონტექსტში ჩართოს და განიხილოს. სად არის დღეს საქართველო, როგორია ომის შედეგები, რა მიმართულებით შეიძლება განვითარდეს ქვეყანა, როგორია მისი პერსპექტივა ევროატლანტიკურ ალიანსთან მიმართებაში – ამ საკითხებზე ვისაუბრებთ დღეს.

მოგესხენებათ, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი არის ის ადგილი, რომელიც ყოველთვის მზად არის თავისუფალი სივრცის შეთავაზებისთვის, რომელიც ასე აუცილებელია თავისუფალი საჯარო დისკუსიებისთვის. ბიოლის ფონდი არის ადგილი, სადაც მოეწყო ერთ-ერთი პირველი დისკუსია ომის შემდეგ, სექტემბერში, იმის შესახებ, თუ როგორ გააშუქა ომი ქართულმა მედიამ. ეს არის ადგილი, სადაც ჩვენ ყველა ერთად შევეცადეთ გაგვეანალიზებინა ჰაიდი ტალიავინის დასკვნის შედეგები და მნიშვნელობა საქართველოსთვის.

ბატონი რონალდ ასმუსი გახლავთ ბრიუსელში მდებარე ტრანსატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელი. იგი 90-იანი წლებიდან არის ერთ-ერთი ძლიერი მხარდამჭერი ნატოს გაფართოებისა აღმოსავლეთის მიმართულებით და ხელმძღვანელობს გერმანული მარშალის ფონდის სტრატეგიული დაგეგმარების მიმართულებას.

ბატონ გია ნოდინას, ვფიქრობ, წარდგენა არ სჭირდება. იგი გახლავთ ადამიანი, რომელიც დიდი ხანია იკვლევს და აანალიზებს საქართველოს გეოპოლიტიკურ ვითარებას და ცდილობს გლობალურ კონტექსტში განიხილოს ქვეყნის განვითარება.

ქალბატონი თინა ხიდაშელი ასევე კარგად არის ცნობილი ამ აუდიტორიისთვის. იგი დიდი ხანია იბრძვის ევროპული ღირებულებების დამკვიდრებისთვის.

ქალბატონი ირის კემპე გახლავთ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ხელმძღვანელი. იგი არის ადამიანი, რომელიც ასევე ძალიან დიდი ხანია მუშაობს ევროპული მიმართულების გაძლიერებაზე აღმოსავლეთ ქვეყნებში.

ეს ადამიანები დღეს თქვენთან ერთად შეეცდებიან გააანალიზონ ის გლობალური კონტექსტი, რომელშიც იმყოფება ჩვენი ქვეყანა მსოფლიო მოთამაშეებთან მიმართებით.

რონალდ ასმუსი – მიხარია, რომ ჩემმა წიგნმა საქართველოში ასეთი დაინტერესება გამოიწვია. წიგნი ორი მიზეზის გამო შეიქმნა. რასაკვირველია, საქართველოში იყო წინაპირობები, რომლებიც უძღოდა ამ ომს. ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში მომზადებული მასალების ანალიზის შედეგად გააშუქდებით მექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს არ იყო საკმარისი, მინდოდა გარკვეული ასპექტები უფრო დეტალურად გამეშუქებინა. ეს იყო წიგნის შექმნის პირველი მიზეზი. გარდა ამისა, ძალიან მაწუხებდა ის გარემოება, რომ დასავლეთში ბევრ ადამიანს უნდოდა ამ ომის დავიწყება. ჩემი აზრით კი, მათ პირიქით, უნდა ეკითხათ საკუთარი თავისთვის, რატომ მოხდა ეს ომი. ჩვენ ამ ომის საფუძველზე უნდა შეგვესწავლა, რამ გამოიწვია იგი, რამ წარმოქმნა პრობლემები, რამ შეუწყო ხელი საომარი ნაპერწკლის გაღვივებას. მსურდა, ეს ომი ბოლო ოცი წლის განმავლობაში არსებულ კონტექსტთან მიმართებაში განმეხილა. ომი შესაძლებელი გახდა იმ სისტემის ფარგლებში, რომელმაც კარგად ვერ იმუშავა. ვცდილობდი, განსაკუთრებით დასავლეთის აუდიტორიისთვის, ამეხსნა, რატომ არის საქართველო მათთვის მნიშვნელოვანი, რატომ აქვს ამ პატარა ქვეყანას

დაკარგული ტერიტორიები, რატომ არის ეს საკითხი ასე მნიშვნელოვანი და რატომ არის აუცილებელი ევროპისა და ამერიკის ხელმძღვანელობისათვის ამ ინფორმაციის მიწოდება.

წიგნზე მუშაობას დიდი დრო დავუთმე. თუ მოგეცათ მისი წაკითხვის საშუალება, მიხვდებით, რომ შევეცადე კულისებიდან შემეხედა მომხდარისთვის. ვცდილობდი, გამეგო, როგორ მოვიქცეოდი ბატონ სააკაშვილის ადგილზე, ან რას ფიქრობდა ბატონი სარკოზი, როდესაც მოსკოვში მიდიოდა, ან როდესაც თბილისში ჩამოვიდა. მსურდა, მათი გადაწყვეტილებები ამგვარად უფრო გასაგები გამხდარიყო. არ ვიცი, ეს რამდენად წარმატებით გამოძივიდა. ამ ზაფხულს წიგნი ქართულ ენაზეც გამოიცემა და იმედი მაქვს, გაეცნობით.

ამ ომის მიზეზი არ ყოფილა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის მიტაცება, არც ეთნიკურ საკითხთან ყოფილა დაკავშირებული. ომს, რომელიც დაიწყო 7 აგვისტოს, წინ უძღოდა რამდენიმეწლიანი პერიოდი, როდესაც ყოველივე ეს ძალას იკრებდა. ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს შეცდომები არ დაუშვია, მაგრამ ასევე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ დასავლელი პოლიტიკოსების შეცდომაც არის ალბათ ის, რაც მოხდა საქართველოში. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, არსებობს „პარიზის ქარტა“, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ქვეყნებს აქვთ უფლება თავად აირჩიონ ის ალიანსები, რომლებშიც სურთ გაერთიანება. მოვლენებზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ამ მექანიზმებმა კარგად არ იმუშავა.

ჩვენ გაგვაოცა ომის დაწყებამ, ვერ შევნიშნეთ მისი განმაპირობებელი ნიშნები. კოსოვოსთან თუ გავაგლებთ პარალელს, ბუქარესტის სამიტმა შესაძლოა ხელი შეუწყო კიდევ ამ მოვლენების გამწვავებას. ამიტომ ალბათ კიდევ ერთხელ კარგად უნდა დაფიქრდეთ, პოლიტიკოსების მიერ სამიტებზე მიღებული გადაწყვეტილებები რა გავლენას ახდენს ქვეყნებზე. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება ალბათ უარყოფითად აისახა საქართველოზეც. ჩვენ ვცდილობთ არ გავავლოთ ასეთი პარალელები, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთი ასეთ პარალელებს ავლებდა. საუბარი იმაზე, რომ საქართველო დაინტერესებულია ნატოში შესვლით, იწვევს რუსეთის გაღიზიანებას და ამ კონფლიქტის ესკალაციას.

საქართველომ წააგო ეს ომი. მან დაკარგა ტერიტორია და პრესტიჟი. ამ ომით არც აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს მოუგიათ. ის წამგებიანი იყო დასავლეთისთვისაც, იმიტომ რომ ევროპის უსაფრთხოების სისტემამ არ იმუშავა ისე, როგორც უნდა ემუშავა. სამწუხაროდ, არც იმ დოკუმენტებმა და კომუნიკებებმა იმუშავა, რომლებსაც ოცი წლის განმავლობაში ვამზადებდით. რუსეთი საკუთარ თავს გამარჯვებულად მიიჩნევს, მაგრამ მე მას „თვითმარქვია გამარჯვებულს“ ვუწოდებდი. მას მომავალში კიდევ შეექმნება პრობლემები. ის პრობლემები, რომლებმაც დასაბამი მისცა ამ ომს, არ დარეგულირებულა და არ გადაწყვეტილა, საქართველო კვლავ დასავლეთისკენ არის მიმართული, რუსეთს კვლავ თავისი ინტერესები გააჩნია. სიტუაციის სტაბილიზაციაც, ძნელი სათქმელია, რამდენად ხანს გასტანს. ამიტომ ჩემი წიგნის მიზანია, ვისწავლოთ ჩვენივე წარსულიდან.

როგორ განვითარდება მოვლენები, ამაზე მზა პასუხი არავის აქვს, ეს წიგნი ამიტომაც დაიწერა, რომ გავგანალიზებინა საკუთარი შეცდომები. მისი ბოლო თავი ჯერ არ დაწერილა.

ნინო დანელია – ახლა სიტყვას ბატონ გია ნოდის გადავცემ. ბატონო გია, იქნებ შევეცადოთ, კიდევ ერთხელ დაფიქრდეთ იმაზე, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები,

მაშინ როდესაც ვითარება უცვლელი რჩება. რუსეთი კვლავ წინააღმდეგია საქართველოს არჩეული ორიენტაციის, საქართველოც, როგორც ჩანს, არ აპირებს, უარი თქვას დასავლურ არჩევანზე. როგორი შეიძლება იყოს საქართველოს შემდგომი განვითარების პერსპექტივა ამ მოცემულობის გათვალისწინებით?

გია ნოღია – მეც სწორედ ამ მიმართულებაზე ვაპირებდი ყურადღების გამახვილებას, რადგან საღისეულო ბატონ ასმუსთან არაფერი მაქვს. ომის პარამეტრების ჩემეული შეფასება დაახლოებით იგივეა, რაც ბატონი ასმუსისა. ჩვენ ერთნაირად ვაფასებთ იმ კონკრეტულ მოვლენებს, რომლებმაც ომი გამოიწვია. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი საქართველოს დასავლური ორიენტაციის გამო, ან რუსეთ-დასავლეთის ომი საქართველოს გამო. ორივე ეს ახსნა ადეკვატურია. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი მხოლოდ არენა იყო სამხედრო-საომარი თეატრის. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ომი გრძელდება. ამას ხშირად პოლიტიკურ რიტორიკად აღიქვამენ, მაგრამ ჩემი აზრით, თუ ომს განვიხილავთ არა მხოლოდ სამხედრო რეალობად და ჯარების შეჯახებად, არამედ განვიხილავთ როგორც პოლიტიკურ მიზნებს და მიზეზებს, რის გამოც ჯარები ერთმანეთს ეჯახებიან, ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ომი დამთავრებული არ არის. ამაზე დღეს ბატონმა ასმუსმაც ისაუბრა და ეს სწორ შეფასებად რჩება.

ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი წიგნია. ერთი მხრივ იმიტომ რომ ეს არის ყველაზე სერიოზული აკადემიური, ყოვლისმომცველი და დაბალანსებული გამოკვლევა ამ ომზე. არსებობს კიდევ ერთი მონოგრაფიული ხასიათის წიგნი, მაგრამ ის მაინც უფრო არის სტატიების კრებული. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი გამოკვლევა არსებობს, იმიტომ რომ აქ ადეკვატურად არის აღწერილი და გაანალიზებული ომის მიზეზებიც და შედეგებიც. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ეს წიგნი ეწინააღმდეგება იმ სტერეოტიპს, რომელიც დამკვიდრდა დასავლური მედიის გავლენით, იმის შესახებ რომ ომი საქართველომ დაიწყო და რუსეთმა ზედმეტად ცხარედ უპასუხა და ეს იყო მთავარი პრობლემა. ამის მიზეზი ის იყო, რომ თავიდანვე, ომის პირველივე დღეებიდანვე მედიამ ასე დაანახა ეს ომი მსოფლიოს. მსოფლიომ ამ ომის შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაიწყო იმ სურათებით, რომლებზეც ქართული არტილერია უტევს ცხინვალს. ეს იყო პირველი სურათი და ბუნებრივია, რომ ის ჩაებეჭდა ადამიანებს. მაგრამ მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი არის ის, რომ ასეთი ხედვა პოლიტიკურად მომგებიანია. დასავლეთმა კი დაინახა, რომ რუსეთმა რაღაც ძალიან სახიფათო გააკეთა დასავლეთისთვის, მაგრამ მას არ ჰქონდა არც პოლიტიკური ნება, არც პოლიტიკური რესურსები, რომ ადეკვატურად ეპასუხა. ამიტომ მისთვის მომგებიანი იყო ისეთი სურათი, რომლის დროსაც ორივე დამნაშავე იყო, რუსეთი ცოტა მეტად, საქართველო ცოტა ნაკლებად, ამ თვალსაზრისით დასავლეთის ისეთი პასუხი, რომელიც მას ჰქონდა, უფრო ადეკვატური გამოდის. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სერიოზულად დაინტერესებულ ადამიანს აქვს საშუალება წაიკითხოს წიგნი, სადაც ამ ომის მიზეზები გაცილებით უფრო სწორად არის გაანალიზებული. ამავე დროს აქ ნაჩვენებია ქართული მხარის, საქართველოს ხელისუფლების ილუზიები, შეცდომები და ა.შ.

იმის გათვალისწინებით, რომ ომი ჯერ კიდევ გრძელდება, ჩვენ რა თქმა უნდა, უკან დავიხიეთ ამ ომში. ომი არ მოგვივია. უკან დავიხიეთ არა მარტო ტერიტორიული აზრით, რომ ახალგორი და კოდორი დავკარგეთ, არამედ პოლიტიკურადაც. ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა დღეს ჩვენთვის უფრო შორეული ჩანს, ვიდრე ჩანდა აგვისტოში. თუმცა, ჩემი აზრით ბუქარესტის შემდეგ ეს პერსპექტივა უკვე გახდა შორეული, მაგრამ პრაქტიკულად ის ძირითადი პრობლემა, ის ძირითადი საომარი მიზეზი არ შეცვლილა. თუ რამე შეიცვალა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსი, ანუ პრობლემის სტატუსი შეიცვალა. გაბრაზებას იწვევს ხოლმე ამის თქმა, მაგრამ რაღაც პოზიტიურად ჰქონდა იმას, რომ ჩვენ დავკარგეთ ილუზია იმის თაობაზე, რომ ახლო მომავალში შესაძლებელია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაწყვეტა. ეს ილუზია ჰქონდა ხელისუფლებას და მთელ საზოგადოებას. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი ბევრს იოლად გადასაწყვეტად მიაჩნდა. ილუზია იმის შესახებ, რომ ამ კონფლიქტების გადაწყვეტა შესაძლებელია, ერთი მხრივ კარგია, მაგრამ მეორე მხრივ, ის იყო ომის გამომწვევი მიზეზიც, პრაქტიკულად. დღეს ეს ილუზია, თუნდაც როგორც საბაბი, აღარ არსებობს. თუმცა რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვაქვს სხვა არჩევანი. დასავლეთში ხშირად ესმით ჩვენგან, რომ ვერ შევეგუებით ამ დანაკარგს და ვერ ვაღიარებთ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. ცხადია, ამას ვერ იზამს ვერც ერთი ხელისუფლება. ამის მიზეზი მხოლოდ ემოციური მხარე არ არის. ამის მიზეზია ისიც, რომ რუსეთს რაც უფრო მეტს დაუთმობთ, მით უფრო მეტს მოითხოვს. ამიტომ ჩვენ არ გვაქვს დათმობის უფლება. ომში ასე ხდება ხოლმე, როცა რაღაცას თმობ, ომის ხაზი უფრო ახლოს გადმოდის, უფრო მეტი მადა უჩნდება მოწინააღმდეგეს. ომის მიზეზი კი სინამდვილეში არის არა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, არამედ მთლიანად საქართველო და მისი დასავლური ორიენტაცია, საქართველო, როგორც რუსეთის ყელში გაჩხერილი ძვალი, რომელიც უნდა ამოიღოს. ჯორჯ ბუშს ბევრი რამის გამო დასცინიან. დაცინვის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ საქართველო დემოკრატიის შუქურაა. რაკი ქალბატონი თინა ისაუბრებს ჩემს შემდეგ, დავაზუსტებ, რომ არ მიმაჩნია, რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა და კარგად არის საქმე დემოკრატიის თვალსაზრისით. მაგრამ ბატონ ბუშს მაშინაც ვეთანხმებოდი და ახლაც ვეთანხმები იმაში, რომ საქართველო არის დემოკრატიის შუქურა ამ რეგიონში და უნდა მოვუფრთხილდეთ ამ სტატუსს და განვაკვიტოთ იგი.

რა თქმა უნდა, დღეს რუსეთი რჩება სახიფათო მოთამაშედ, მაგრამ იგი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირი, ყოველთვის იყო ოპორტუნისტი მოთამაშე. ის ორიენტირებული იყო მოწინააღმდეგის სისუსტის გამოყენებაზე. ამიტომ რუსეთთან ბრძოლის ველი საქართველოში არის ის, რომ საქართველო იყოს ძლიერი და ჰქონდეს სტაბილური პოლიტიკური სისტემა. იყოს ძლიერი სახელმწიფო, რომელიც დემოკრატიული მეთოდებით ინარჩუნებს სტაბილურობას. დიდი მადლობა.

ნინო დანელია – მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია ის, რაც ბატონმა გიამ ბრძანა, ბატონმა ასმუსმაც აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ევროპის გაერთიანებული პოზიცია, საკუთარი ღირებულებების დაცვა და საქართველოს მხარდაჭერა, მაგრამ ჩვენთვის ალბათ უფრო მნიშვნელოვანია, უფრო მეტად ვიფიქროთ ქვეყანაზე, რომელიც შედგება დემოკრატიულ ქვეყნად. იმიტომ რომ ესეც არის ერთ-ერთი სერიოზული გამოსავალი. თუკი ვიტყვი, რომ

ევროპისთვის ადვილია, ორივე მხარე დაადანაშაულოს ამ კონფლიქტში, ჩვენთვის შესაძლოა უფრო კომფორტული იყოს ხელი გავიშვიროთ ევროპისკენ, რომელმაც ვერ დაგვიცვა. მოდით, შევეცადოთ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ საკუთარ თავს და ვისაუბროთ იმაზე, რამდენად გვაქვს დემოკრატიულ ქვეყნად შედგომის პოტენცია.

თინა ხიდაშელი – დიდი მადლობა აუდიტორიას ამ ინტერესისთვის. მადლობა, ქალბატონო ნინო, სიტყვებისთვის, რომ ჩვენთვის ადვილია ხელის გაშვება ევროპისკენ.

პირველ რიგში მინდა ბატონ რონალდ ასმუსს დიდი მადლობა გადავუხადო ამ წიგნისთვის. იმიტომ რომ იგი საქართველოს მეგობარია და ეს ძალიან კარგად ჩანს ამ წიგნში. იმიტომ რომ წიგნში საუბარია ომზე და მან შესაძლოა დასავლეთში საზოგადოების რაღაც ნაწილს მაინც გაახსენა აგვისტოს ომი. და რაც უფრო მეტი დაიწერება ამ თემაზე, მით უფრო მეტად იქნება აგვისტოს ომი, საქართველო მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში. ეს უკვე წარმატება იქნება, ვინაიდან ჩვენი ერთადერთი ხსნა და ერთადერთი შესაძლო გამოსავალი საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ შედგომისთვის არის ის, რომ გვყავდეს მეგობრები და პარტნიორები, რომლებისთვისაც სულ ერთი არ არის დედამიწის ამ წერტილში რა ხდება. ამიტომ ამ მხრივ მხოლოდ პატივისცემას და მადლობას იმსახურებს ეს წიგნი.

წიგნში ასევე კარგად ჩანს ის, რომ ავტორი კარგად არის ინფორმირებული და ესეც ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ლეგიტიმურად იყოს აღქმული ყოველივე ის, რაზეც არის მასში საუბარი. დეტალების აღწერა, თხრობის სტილი მას კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს.

მთავარი პრობლემა, რომელსაც ვაწყდები ჩვენი მეგობრების მიერ გამოქვეყნებულ წიგნებსა თუ ნაშრომებში, და ეს ამ წიგნშიც იგრძნობა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრია საუბარი საქართველოზე, მის მიერ დაშვებულ შეცდომებზე, მაინც არის მცდელობა ხელი სხვისკენ იყოს გაშვებული. არის წიგნში რამდენიმე ადგილი, როდესაც რაღაც თემები გამოტოვებულია. ამის მიზეზი შესაძლოა ინფორმაციის უქონლობა ყოფილიყო, ან ის, რომ არ ჩაითვალა მნიშვნელოვნად. მაგრამ ვფიქრობ რომ კიდევ უფრო მეტი ობიექტურობისთვის და სინათლის შეტანისთვის იმაში, რამაც მიგვიყვანა 7 აგვისტომდე, შესაძლებელი იყო ორივე მხარის შესახებ უფრო დეტალურად გვესაუბრა. მაგალითად, წიგნში საუბარია იმ საიდუმლო წერილზე, რომელიც გაიგზავნა მოსკოვში ბატონი სააკაშვილის მხრიდან. ეს თემა ნამდვილად კარგად არის გაშლილი და სრულ ინფორმაციას გვაწვდის. ჩემთვისაც, ადამიანისთვის, რომელიც მეტნაკლებად ინფორმირებული ვარ, ბევრი სიახლე იყო წიგნის ფურცლებზე. თუმცა შემდეგ, როდესაც უკვე საუბარია მოსკოვიდან მოსულ პასუხზე, ის ნაწილი აღარ არის ასეთი ამომწურავი. ვიმეორებ, შესაძლოა, იმიტომ რომ ავტორს არ ჰქონდა იმდენი ინფორმაცია, რამდენიც პირველი შემთხვევის დროს. ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, ასევე საინტერესო იქნებოდა მეორე ნაწილის შესახებაც იმდენივე ინფორმაცია მქონოდა, რაც მივიღე პირველ ნაწილზე. ასეთი რამდენიმე ადგილია წიგნში.

ყველაზე მთავარი ჩემთვის მაინც ის არის, რომ ავტორი ხშირად იმეორებს ფრაზას, რომ ყველამ უნდა ჩაიხედოს სარკეში. ეს ფრაზა გამოყენებულია როგორც ქართველებზე, ისე ამერიკელებზე, ევროპაზე საუბრის დროს. ეს არის ჩემთვის ამ წიგნის და ყველა ამ თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომის მთავარი ღირებულება. იმიტომ რომ ჩემთვის მიუღებელია მსჯელობა იმის შესახებ, რომ ვიღაც ექსკლუზივი აქვს საქართველოზე, ვინც არ უნდა იყოს ის, რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ნატო თუ ევროპა. საქართველოს განვითარებაზე ექსკლუზივი მხოლოდ საქართველოს აქვს, სხვების დახმარებით, მეგობრების და პარტნიორების თანამონაწილეობით. და ეს სეგმენტი არასოდეს არ უნდა იყოს დაკარგული დისკუსიდან.

როგორი ქვეყანაც იქნება საქართველო, ისეთი იქნება მისი ურთიერთობა მის ყველა მეზობელთან. მე ფობიები არ მაქვს რუსეთთან მიმართებაში, არც განსაკუთრებული სიყვარულის და მეგობრობის სურვილი, გამოგიტყდებით. არც იმის მცდელობა მაქვს, რომ სხვისკენ გავიშვირო ხელი და სხვაგან ვეძებო პრობლემის მთავარი არსი და მთავარი დამნაშავეები. თუ ეს არ იქნება ჩვენი დისკუსიის მთავარი ღერძი, მაშინ საქართველო მუდმივად დაუშვებს შეცდომებს, როგორი ხელისუფლებაც არ უნდა ჰყავდეს მას. თუკი ასეთი ნაშრომები, მეგობრების მიერ შექმნილი შრომები და რეკომენდაციები არ იქნება დაფუძნებული იმ შეცდომების ანალიზზე, რომელიც დაუშვა ჩვენმა ქვეყანამ, მრავალი 7 აგვისტო გვექნება კიდევ წინ, ან ისეთი სისხლიანი, ან უსისხლო და ისეთივე თამაში, როგორიც ვნახეთ ყველამ ერთად სულ ცოტა ხნის წინ. ასეთი შეცდომებისგან ქვეყანა არსოდეს არ იქნება დაზღვეული.

ჩემი მთავარი თხოვნა ყველა ჩვენი მეგობრის მიმართ, ქვეყანა იქნება ეს თუ ცალკეული ადამიანები, არის ის, რომ სარკეში ჩაახედონ ეს ქვეყანა და მის პრობლემებზე ელაპარაკონ, ხელი გამოიშვირონ ამ ქვეყნისკენ არა „ნიუ-იორკ თაიმსის“ ან „ვაშინგტონ-პოსტის“ ფურცლებზე, არამედ საქართველოში და საქართველოზე საუბრის დროს. და დაგვეხმარონ იმაში, რომ არ დაუშვათ შეცდომები და ქვეყანა, რომელსაც რუქაზე აქვს ფერი, სახელმწიფოდ ვაქციოთ და არა იმაში, რომ დავრჩეთ ქვეყანად. ყირგიზეთის ამბების საერთაშორისო მედიით გაშუქების დროს ბევრჯერ მომჭრა ყური ფრაზამ, თუ რა დაემართება მანასის ბაზას. ჩემი აზრით, ეს შეურაცხმყოფელია ამ ქვეყნისთვის. მაგრამ რა თქმა უნდა, თუ სხვა ფუნქცია აღარ გაქვს, მაშინ საქართველოზე დისკუსიის მთელი ღერძი იქნება ავღანეთში რამდენ ჯარისკაცს გავაგზავნით ან არ გავაგზავნით და სხვა რამით აღარ დაინტერესდებიან. ეს არ არის საქართველო, რომელიც ჩვენ გვინდა. იმიტომ არის ჩვენთვის ძალიან ღირებული ეს წიგნი.

ბატონმა რონალდმა ბრძანა, რომ წიგნის ბოლო თავი ჯერ არ არის დაწერილი. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ბოლო თავი არის არა მხოლოდ მოსკოვში გათვალისწინებული სცენარი, არამედ ყველა სცენარი, მათ შორის თბილისის შესაძლებლობების გათვალისწინებით დასაწერი სცენარი. სცენარი, რომელიც პირველ რიგში ჩვენ უნდა ავიცილოთ თავიდან და ამისთვის უნდა გადავღვათ ნაბიჯები. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვუთხრათ ბრიუსელს, რატომ იყო ის პასიური, ან ბრალი დავდოთ სარკოზის რაღაცაში. იმისათვის, რომ იმაზე მეტი მოვთხოვოთ დასავლეთს, რაც 12 აგვისტოს და შემდეგ დღეებში გააკეთეს ჩვენთვის დასავლურმა სახელმწიფოებმა, არ უნდა ვუტოვებდეთ მოწინააღმდეგეს იმის საშუალებას ჩვენკენ ხელი გამოიშვიროს და თქვას, რომ, ვთქვათ, ის მთავარი, რაზეც არის საუბარი ამ

წიგნში, რომ საქართველოში იყო ომი დასავლური ღირებულებების გამო, მხოლოდ რიტორიკაა. და რომ საქართველოს ხელისუფლება ბევრს ლაპარაკობს დასავლეთზე, მაგრამ ყველაფერს აღმოსავლურად აკეთებს. ყველაფერს აკეთებს სხვანაირად, ვიდრე ეს არის დემოკრატიულ ღირებულებებში.

წიგნში საუბარია იმაზეც, რომ დაკარგული იყო ნდობა დასავლეთსა და საქართველოს შორის. ის, თუ რა იყო ამის მიზეზი, ჩემთვის იქნებოდა კვლევა-ძიების გაგრძელების საგანი. რა ხდებოდა ისეთი ამ ქვეყანაში, რომ დაიკარგა ეს ნდობა. ამ თემაზე ბევრია საუბარი ამ წიგნში. მნიშვნელოვანია ასევე მომავალი სტრატეგიის, მომავალი მოქმედებების დაგეგმვა იმისთვის, რომ ეს აღარ დავუშვათ. რომ აღარ დაიკარგოს ნდობა, და რომ საქართველო იყოს მოცემულობა, რომელსაც ვერსად გაექცევინ, ქვეყანა, რომელსაც უარს ვედარ ეტყვიან მომდევნო ბუქარესტზე. დიდი მადლობა.

ნინო დანელია – დიდი მადლობა, ქალბატონო თინა. ქალბატონ ირისს ვთხოვ ახლა. იქნებ ვისაუბროთ იმ ევროპულ პერსპექტივაზე, რომელიც გაჩნდა ომის შედეგების გათვალისწინებით და რომელიც შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ევროატლანტიკურ და ზოგადად, ევროპულ ოჯახში გაწევრიანებისთვის.

ირის კეპე – შესანიშნავი წიგნია, დიდი მადლობა, მე ძალიან მომწონს იგი. რამდენიმე კომენტარი მინდა გავაკეთო, ისინი შესაძლოა სცდება წიგნის ფარგლებს, მაგრამ მსურს ცოტა უფრო შორიდან შევხედოთ პრობლემებს. გეთანხმებით, ეს არ ყოფილა ეთნიკური კონფლიქტი, ტალივანის დებატების ფარგლებშიც, ყველაზე მნიშვნელოვანი ის კი არ იყო, თუ ვინ დაიწყო ომი, მთავარია სტრატეგიული საკითხი. სტრატეგია კი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველო და სხვა მეზობელი ქვეყნები, პირველ რიგში კი უკრაინა, არ გამოსულიყო პუტინის რეჟიმის გავლენისგან და არ შეერთებოდა ტრანსატლანტიკურ სივრცეს, მის ღირებულებებს და ინტერესებს.

საკითხი ასე ისმება, პრობლემები მართლ საქართველოშია თუ მის ფარგლებს გარეთაც? რასაკვირველია, საქართველოში დგას პრობლემა, რომ ჯერ კიდევ არ არის ნათლად ჩამოყალიბებული კონცეფცია, თუ როგორ უნდა განვითარდეს იგი დასავლეთის მიმართულებით. ბატონ სააკაშვილს აქვს ბევრი მიღწევა, მაგრამ არის პრობლემებიც. საინტერესოა, მოხდებოდა თუ არა ეს ომი, საქართველო რომ ნამდვილად დემოკრატიული ქვეყანა ყოფილიყო.

პირველ რიგში მაინც ევროპისკენ უნდა გავიშვიროთ ხელი, და ვთქვათ, რომ ევროპამ საკმარისი მხარდაჭერა არ გაუწია ქვეყანას. გეთანხმებით, ეს იყო ომი დასავლეთის წინააღმდეგ, მაგრამ თან იმ დასავლეთის წინააღმდეგ, რომელიც სუსტად იყო წარმოდგენილი საქართველოში. არ ყოფილა საკმარისი სამშვიდობო ძალები, და არც თავად დასავლეთი ყოფილა ერთიანი. მაგრამ საქართველომ არ უნდა იფიქროს მხოლოდ NATO -ს და

ევროგაერთიანების მიმართულებით, საქართველოს ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ არ გააჩნიათ ნათლად ჩამოყალიბებული სტრატეგიული გეგმა.

კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც სათანადოდ არ არის გათვალისწინებული, არის რუსეთი. ამაზე ალბათ ცალკე წიგნი უნდა დაიწეროს. ვისურვებდი, რომ ის, მაგალითად, ფიოდორ ლუკიანოვს დაეწერა. რუსეთი მხოლოდ პუტინი და მედვედევა, თუ რუსეთი კიდევ სხვა რამეც არის? აქ არის წინააღმდეგობა. წიგნში არის საუბარი რუსეთის ბრალეულობაზე, მაგრამ იმავდროულად ასევე არის საუბარი პანევროპულ მომავალზეც, რომელიც რუსეთსაც ეხება. ჩემთვის საინტერესოა კრიტიკა როგორც კრემლის მიმართ, ისე კრემლს გარეთ ვითარების ანალიზი.

მიხარია, რომ წიგნი ქართულად გადაითარგმნება. როგორც ჩემთვის ცნობილია, ივლისში დასრულდება თარგმანი.

ნინო დანელია – ახლა უკვე შეგვიძლია დავიწყოთ დისკუსია. თქვენგან ველით კონკრეტულ შეკითხვებს.

ზალია რუხაძე, „ჯიპას“ სტუდენტი – ბატონო ასძუს, თქვენს წიგნში ვკითხულობთ, რომ რუსეთ-საქართველოს ომი არ ყოფილა მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ, არამედ ის იყო ომი ევროპის უსაფრთხოების სისტემის წინააღმდეგაც.

რა რეაგირება ექნება ევროპას უსაფრთხოების სისტემასთან დაკავშირებით. წიგნის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ ჩვენ ვიყავით ნაწილი დიდი გეოპოლიტიკური თამაშისა.

„ჯიპას“ სტუდენტი – დიდი მადლობა იმისთვის, რომ დავვითმეთ დრო და ჩვენთან მობრძანდით. ჩემი შეკითხვა შეეხება, როგორც მახსოვს მე-ნ თავშია ამაზე საუბარი, რომ საქართველო არ იყო დასავლეთისთვის პრიორიტეტი. გამოვიდა, რომ ჩვენ კოსოვოს დამოუკიდებლობას შევეწირეთ?

ლია ჯაყელი, ილიას უნივერსიტეტი – ქალბატონ თინასთან მაქვს შეკითხვა. მეც ძალიან მომეწონა ფრაზა, რომ ყველამ უნდა ჩაიხედოს სარკეში. საქართველოს შემთხვევაში რა გზას გვთავაზობთ. ეს როგორ უნდა გავაკეთოთ, რომ დავინახოთ საკუთარი უარყოფითი მხარე და გამოვასწოროთ.

რონალდ ასძუსი – გმადლობთ. პირველ რიგში ირისის შეკითხვას ვუპასუხებ, აიცილებდა თუ არა ომს საქართველო, ნამდვილად დემოკრატიული ქვეყანა რომ ყოფილიყო. ინტერვიუ მქონდა აშშ-ს ერთ-ერთ ხელმძღვანელ პირთან. მან თქვა, ქართველები, რომ ყოფილიყვნენ, მაგალითად, ესტონელები, უფრო ადვილი იქნებოდა მათი სიმართლის დამტკიცება. მართალია, ეს დაეხმარებოდა საქართველოს NATO-ში გაწევრიანებაში, მაგრამ ჩვენ ქვეყნები მხოლოდ იმ პრინციპით არ უნდა დავიცვათ, მოგვწონს ისინი თუ არა. ძირითადი ქვაკუთხედი არის ტერიტორიული მთლიანობა. ყველა ეს პრინციპი 20 წლის წინ ხელმოწერილ „პარიზის ქარტიამია“ ჩამოყალიბებული. ამ ქარტიის თანახმად, ყველა ქვეყანას,

დიდს თუ მცირეს, აქვს უსაფრთხოების უფლება, ასევე შეუძლიათ თავად აირჩიონ განვითარების გზა. მაგრამ ყველა ეს პრინციპი დარღვეული იყო 2008 წლის აგვისტოში. ისმება შეკითხვა, იმუშავენ კი ეს პრინციპები საერთოდ? შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო თამაშის წესების თავიდან დაწერის მცდელობა.

სინამდვილეში რამდენად ფუნდამენტურია ეს პრინციპები ევროპის სტაბილურობისთვის და ვრცელდება თუ არა ისინი საქართველოზეც, ეს შეკითხვა უნდა დავუსვათ საკუთარ თავს დასავლეთში. 90-იან წლებში ევროპას უფრო ჰქონდა ხედვა და სტრატეგია, 2004-2005 წლებში დასავლური კონსესუსი თანდათან ორად გაიხლიჩა. იმან, ბალკანეთი უნდა შეერთებოდა თუ არა ევროკავშირსა და NATO-ს, მაშინ კამათი გამოიწვია. ირისმა კარგად იცის იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელი იყო მომხრე და რომელი მოწინააღმდეგე. ჩვენ ღია უნდა გვქონდეს კარი უკრაინისთვის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის.

უკეთესი დემოკრატიის ქვეყანა უნდა იყო, NATO-ს რომ შეუერთდე? რასაკვირველია. მე, როგორც ამერიკელი, ყოველთვის ვამბობ, რომ იმის გამო, რომ ქვეყანას პრობლემები აქვს, მას უარი არ უნდა ეთქვას ამ ბლოკში გაერთიანებაზე.

როგორ უნდა განვითარდეს საქართველო სწორი მიმართულებით? ყველასთვის ნათელია, რომ რუსეთი ეწინააღმდეგება ამ პრინციპებს. საქართველო რუსეთისთვის იყო პოლიგონი, რათა მას ეჩვენებინა, თუ რა წესებს ამკვიდრებს იგი ამიერიდან. ჩვენ ფუნდამენტურ საკითხებზე ვმსჯელობთ. საქართველოს შესაძლოა გააჩნია დემოკრატიის მხრივ პრობლემები, მაგრამ ნათელია, რომ ქვეყანა ცდილობს იმოძრაოს NATO-ს მიმართულებით. და იმედია, ეს სურვილი დაეხმარება ქვეყანას სწორი მიმართულებით განვითარებაში.

ამ წიგნის დაწერის ერთ-ერთი მიზანი იყო დებატების გაცოცხლება ამ თემის ირგვლივ. თუ არ ვისაუბრებთ პრობლემებზე, ისინი არ გადაწყდება. ქალბატონმა კლინტონმა რამდენიმე კვირის წინ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. მან გაიხსენა „პარიზის ქარტიაც“, ისაუბრა ფუნდამენტურ პრინციპებზე, მაგრამ ალბათ უფრო მეტი უნდა ეთქვა. უნდა ეთქვა, რომ სამხრეთ კავკასიის მიმართ არის იგივე პრინციპები. ჩვენ უნდა მივეშველოთ ამ დებატებს. უნდა დავუბრუნდებით ამ დებატებს და შევეცადოთ პრობლემების გამოსწორება, უნდა დავანახოთ ყველას, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ჩემს კოლეგებთან ხშირად მისაუბრია ბალკანეთზე, იმაზე თუ რამხელა ძალისხმევა დასჭირდა იქ მდგომარეობის გამოსწორება – ათობით მილიარდი დოლარი, 25 სპეციალურად მივლინებული ელჩი, ამდენივე ხელშეკრულება მშვიდობის თაობაზე. მიდგომა, რომ ბალკანეთი უფრო მნიშვნელოვანია და სამხრეთ კავკასია არ არის მნიშვნელოვანი, არ უნდა იყოს გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე დამოკიდებული, პრინციპები და წესები ყველაზე ერთნაირად უნდა ვრცელდებოდეს.

თინა ხიდაშელი – ამ კითხვას ორგვარი პასუხი შეიძლება ჰქონდეს, ერთი გრძელი, მეორე – მოკლე. ყველაზე უფრო მოკლე პასუხი ის იქნებოდა, რომ გავაანალიზოთ საკუთარი შეცდომები, რომ აღარ გავიმეოროთ. ეს სათქმელად ადვილია, მაგრამ შესასრულებლად ძნელი. მაგრამ სხვა გამოსავალი ჩვენ არ გვაქვს. პატარა მაგალითს გეტყვით აგვისტოს ომიდან.

საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ დღეებზე, რომლებიც წინ უძღოდა ომს. 29 ივლისია ერთ-ერთი ასეთი თარიღი, 1, 3, 4 აგვისტო, სანაკოევზე ტერაქტი. ამ თარიღებს

ხშირად იშველიებენ იმის დასამტკიცებლად, თუ დღითიდღე როგორ მძიმდებოდა ვითარება. მაგრამ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სანაკოევზე ტერაქტის დილას სამხრეთ ოსეთშიც მოხდა კიდევ ერთი ტერაქტი. არც ამ წიგნშია ნათქვამი ის, რომ სანაკოევზე ტერაქტი იყო პასუხი ჩვენს მიერ იმავე დილას განხორციელებულ ტერაქტზე. ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგალითად, 6 აგვისტოს რა ხდებოდა დილის 7 საათიდან ღამის 12-მდე. თუ ასეთი დამოკიდებულება გაგრძელდა ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან, ჩვენი საქმე სულ უკან და უკან წავა და შეცდომების გამოსწორების ნაცვლად ახალ შეცდომებს დავეშვებით. ერთ-ერთი მთავარი ამბავი, რაც უნდა გავაცნობიეროთ, ის არის, რომ ჩვენ, ქართულ სახელმწიფოს, გვაქვს სასიცოცხლო ინტერესები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ეს ჩვენ უფრო მეტ პასუხისმგებლობას, თმენას და დიპლომატიას გვაკისრებს, ვიდრე ბატონ კოკოითს.

სიმონ პაპუაშვილი, ადვოკატი – ბატონ ასმუსთან მაქვს კითხვა. საქართველოს სამხედრო ხარჯები 2004-2008 წლებში სერიოზულად გაიზარდა. ფიქრობთ, რომ ეს საჭირო იყო? თქვენი აზრით, რამდენად შეიტანა ამან წვლილი აგვისტოს ომის გაჩაღებაში?

შორენა შავერდაშვილი, ჟურნალი „ლიბერალი“ – ბატონმა ასმუსმა თქვა, რომ მნიშვნელოვანი იყო ყველა კონტექსტის გაანალიზება. გეთანხმებით, რომ ის, თუ ვინ გაისროლა პირველმა, მეორადი საკითხია. მაგრამ გავანალიზებთ წინა წლების სამხედრო რიტორიკა და გადადგმული ნაბიჯები?

გიორგი ჩოდრიშვილი – ბატონო ასმუს, პირველ რიგში მინდა მადლობა გადაგიხადოთ სამართლიანი სიტყვისთვის. ჯერჯერობით მხოლოდ ოცი გვერდის წაკითხვა მოვახერხე. თქვენ რამდენჯერმე აღნიშნეთ ევროპის ქვეყნების განსხვავებული პოზიციის შესახებ. თქვენი აზრით, რატომ არის შეუთანხმებლობა დასავლურ სამყაროში და NATO-ში პირველ რიგში, რომელიც არის უსაფრთხოების თვალსაზრისით პირველი საყრდენი ფუნდამენტურ საკითხებზე?

რონალდ ასმუსი – სხვებიც წერენ წიგნებს. ჩემი წიგნი ყველაფერზე ვერ გავცემთ პასუხს. ისეთი ჭკვიანი არ ვარ, ყველაფერი ვიცოდე. ჩემი მიზანი არ ყოფილა დამეწერა 600-გვერდიანი წიგნი, მინდოდა დამეწერა 200-გვერდიანი წიგნი, რომელსაც ყველა წაიკითხავდა.

მას შემდეგ რაც რუსეთთან 6-კვირიანი მოლაპარაკების მერე ინტერვიუზე ვერავინ დავითანხმე, მათ პოზიციაზე ალბათ სხვები დაწერენ. მე მინდოდა განმეხილა ომის წინა პერიოდი.

რაც შეეხება სამხედრო ხარჯებს. როდესაც ვმუშაობდით ცენტრალურ ევროპულ ქვეყნებთან ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ მათ შეეძლოთ რამდენიც უნდოდათ დაეხარჯათ შეიარაღებისათვის, მაგრამ იმასაც ვეუბნებოდით მათ, რომ არ არის საჭირო ქვეყნების მილიტარიზება, რომ მნიშვნელოვანია მცირე თანამედროვე არმია, განსაკუთრებით საქართველოსთვის, რომელსაც უამრავი სხვა პრობლემის მოსაგვარებლად სჭირდება თანხა. NATO იმისთვის არის, რომ შემცირდეს ხარჯები თავდაცვისთვის, იმიტომ რომ კოლექტიური თავდაცვა უფრო იაფია, ვიდრე ინდივიდუალური. თქვენ უფრო დაუცველები ხართ, ვიდრე სხვა ქვეყანა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. თქვენ მეტს ხარჯავდით, „სტინგერებს“ იძენდით, საბოლოო ჯამში კი მაინც დამარცხდით. ამიტომ მთავარია რეფორმები და დასავლეთის ნაწილად ქცევა. ეს თქვენზეა დამოკიდებული, რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევთ შეიარაღების გაფართოებას. სამოქალაქო პასუხისმგებლობა კრიზისის მოვესწარი. 1992 წელს

ბევრი მოითხოვდა NATO-ს დაშლას. 1999 წელს ბილ კლინტონის კამპანიაში ვმუშაობდი და მაშინაც ბევრი ადამიანი ამბობდა, რომ დემოკრატიული პარტია NATO-ს დაშლას უნდა უჭერდეს მხარს. მასხოვს, თეთრ სახლში შევედი და იქ ხალხი ამბობდა, რომ თუ კლინტონს სჯერა, ეს საკმარისია იმისთვის, რომ NATO არსებობდეს. შემდეგი თვეების განმავლობაში NATO რეალურ პროგრესს მიაღწევს. ის ზოგჯერ ძალიან არაეფექტური ინსტიტუტია და ჩვენ შეძლებისდაგვარად უნდა მოვახერხოთ რეფორმირება. ჩემი აზრით, თქვენ ძალიან ძლიერი კანდიდატი ხართ და საბოლოოდ ეს ისევ თქვენი გადასაწყვეტია. იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ, რომ საქართველო ისევ რუსეთის ორბიტაში შესულიყო, დაენიშნა რუსეთისთვის სასურველი მინისტრები და ეს მას ომს ააცილებდა, მაგრამ საქართველოსთვის იქნებოდა ეს მისაღები? „პარიზის ქარტია“ თქვენ გაძლევთ უფლებას საკუთარი მისწრაფებები დაიცვათ. მთავარია დავეყრდნოთ პრინციპებს, რომლისაც გვწამს. ჩვენი მიზანია, გავაუმჯობესოთ NATO-ს მექანიზმები. NATO-სთვის პრობლემა იყო ერაყი. ამის შემდეგ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ალიანსის რეკონსტრუქცია. ერაყი იყო ის ბაზა, რის გამოც ვერ მოხერხდა შეთანხმება აგვისტოში. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ გახლეჩვის პრობლემა, NATO-ს წევრებმა უნდა მოვაგვაროთ ეს პრობლემა ერთმანეთში. რეალობა ასეთია. ჩემი წიგნი უხერხულობას შეუქმნის ბევრ ადამიანს, იმიტომ რომ ბევრს არ უყვარს სარკეში ჩახედვა. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მოვიდნენ და მადლობა გადამიხადეს. ბევრმა აღიარა დაშვებული შეცდომები და ფიქრობს იმაზე, როგორ მიაღწიოს წარმატებას მომავალში. მართლაც, თუ არ ვიქნებით გულახდილები და არ გავიაზრებთ არსებულ პრობლემებს, უკეთეს სტრატეგიას ვერ შევიძუშავებთ. ჩვენ გვჭირდება ეს ხედვა. 90-იანებში მოვახდინეთ რეფორმირება და წარმატებასაც მივაღწიეთ. ახლა არ ვიცი რა გვინდა, არ გვაქვს ნათლად გამოკვეთილი ხედვა, მაგრამ ეს ისევ ჩვენი გადასაწყვეტია.

გიორგი მუსხელიაძე, ილიას უნივერსიტეტის სტუდენტი – იქნებ დაგვებრუნებინა ამ რეგიონებისთვის თავისი ისტორიული სახელები და ამით გადაგვეწყვიტა პრობლემები?

გია ნოდია – ჩემი აზრით, ეს ძალიან სახიფათო გზაა. ერთ-ერთი ყველაზე პირველი დიდი სისულელე, რაც გაკეთდა თავის დროზე 1991 წლის დეკემბერში იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება. ეს თან მოხდა ისეთ მომენტში, როდესაც ვერ აკონტროლებ და ამას სახელის გაუქმებით აკომპენსირებ. ეს იყო უმწეობა და საკუთარი სისუსტის დაფარვა. ერთ-ერთი კარგი, რაც გააკეთა ამ ხელისუფლებამ ამ კონფლიქტთან დაკავშირებით, სამხრეთ ოსეთის ტოპონიმი დააბრუნა. ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ კონფლიქტი პოზიტიურად გადაეწყვიტა, მაგრამ თავისთავად ეს სწორი ნაბიჯი იყო. ასე რომ, სახელების გადარქმევით არც ერთი კონფლიქტი არ გადაწყვეტილა.

სტუდენტი, GIPA – მინდოდა თქვენი რეკომენდაცია მიმეღო, ვიცი, რომ მდიდარი გამოცდილება გაქვთ. ვიცი, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში არ არსებობს მუდმივი მეგობრები და მუდმივი მტრები. არსებობს მხოლოდ ეროვნული ინტერესები. პროდასავლურ ქვეყნებს რა რეკომენდაციას გაუწევთ საქართველოს ცუდ მაგალითზე. მაგალითად უკრაინას, რომ ყველა მცდელობას, გაიზარდოს დასავლეთის მხრიდან მისი გავლენა, რუსეთი პასუხობს

ომით. შესაძლებელია შემდეგი აღმოჩნდეს უკრაინა, თუ ის შეცვლის თავის დამოკიდებულებას NATO-სთან მიმართებაში და დასავლეთი კიდევ ერთ მეგობარს დაკარგავს?

თინათინ მაგრაქველიძე, ილიას უნივერსიტეტის სტუდენტი – ბატონმა გიამ თქვა, რომ როდესაც ქართველმა ხალხმა აგვისტოს ომის დროს დასავლეთიდან ვერ დაინახა დახმარება, ილუზიები დაემსხვრა. თქვენი აზრით, ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას ილუზიების მსხვრევა დადებითად წაადგება?

გიგა ჭკადუა, ილიას უნივერსიტეტი – უპირველეს ყოვლისა მადლობა მინდა გადაგიხადოთ ჩვენთან მობრძანებისთვის, რომ მოგვეცა საშუალება ამ წიგნის შესახებ მოგვესმინა. მაინტერესებს თქვენი აზრი, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ საქართველო-რუსეთს შორის გაუჯობესდეს ურთიერთობა და ასევე გაძლიერდეს ურთიერთობა საქართველოსა და დასავლეთს შორის.

გიორგი ლომინაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ბატონ ასმუსთან მაქვს შეკითხვა.

ნამდვილად არა ვარ ბატონ სააკაშვილის მხარდამჭერი, მაგრამ არ ვაპირებ იმ შეცდომებზე საუბარს, რომელიც ჩვენ დაგუშევით. მინდა ვისაუბრო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაშვებულ შეცდომებზე. შტატებმა ნამდვილად წააგო უკრაინასა და ყირგიზეთში და ვინ იქნება შემდეგი, არ ვიცით. უკრაინამ გადადგა ნაბიჯები დემოკრატიისკენ. იქ ჩატარდა სამართლიანი არჩევნები და, სხვათა შორის, პრორუსი იანუკოვიჩი აირჩიეს. ყირგიზეთში ბაკიევის დიქტატორული რეჟიმი იყო, რომელსაც ასევე შტატები უჭერდა მხარს. ვფიქრობ, რომ არა მხოლოდ ერაყის ომი, არამედ ზოგადად ბუშის პოლიტიკა იყო შეცდომა და ობამას მთავრობამ მემკვიდრეობით მიიღო ბუშის შეცდომები. იქნებ შტატები არ აკეთებს იმას, რაც მისთვისვე კარგი იქნებოდა, იქნებ თქვენც უნდა შეცვალოთ თქვენი პოლიტიკა?

ნინო დანელია – აი როგორი მკაცრი კრიტიკა მივიღეთ.

რონალდ ასმუსი – არც მე ვარ ბუშის მხარდამჭერი, მაგრამ ოცწლიან პერსპექტივაში თუ შევხედავთ, არ ფიქრობდნენ, რომ NATO იმუშავებდა. როდესაც რუსეთში დიპლომატიად ვმუშაობდი, მაშინ ერთ-ერთმა გენერალმა მითხრა, რომ პოლონეთის NATO-ში შეყვანა ბირთვულ ომს გამოიწვევდა, მაგრამ არ დაწყებულა. იმასაც ამბობდა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები ვერ შევიდოდნენ NATO-ში, მაგრამ შევიდნენ, რომ საქართველო და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები ვერ იქნებოდა ჩვენი ინტერესის სფერო და ა.შ. რასაკვირველია, გარკვეული შეცდომები იქნა დაშვებული. მე კრიტიკულად ვარ განწყობილი ამ მთავრობის მიმართ, მაგრამ რა ვიცი, თქვენ თუ შეგიძლიათ უკეთესი შემოგვთავაზოთ, ჩვენც კარგად შევასრულებთ საშინაო დავალებას და შევეცდებით ჩვენი მთავრობის პოლიტიკა მოვარგოთ ჩვენს საჭიროებებს, თუ თქვენ შეძლებთ, რომ თქვენი მთავრობის პოლიტიკა მოარგოთ თქვენს საჭიროებებს. მოდით, ამ პერსპექტივიდან შევხედოთ ყველაფერს. ზოგადად, შტატები ისეთი მიმართულებით მუშაობდა, რაზეც ბევრი ფიქრობდა, რომ 25-წლიან პერსპექტივაში ვერ განხორციელდებოდა. ყოველ შემთხვევაში ამერიკელები პრაგმატულები ვართ და როცა

შეცდომებს ვუშვებთ, იმას მაინც ვცდილობთ, რომ ეს შეცდომები რაც შეიძლება მალე გამოვასწოროთ. ჩვენც გვაქვს ჩვენი დებატები, თქვენ – თქვენი. მე მაგალითად, სულ არ ვგრძნობ თავს დამნაშავედ უკრაინასთან დაკავშირებით. უკრაინამ თვითონ დაკარგა თავისი თავი. იყო რევოლუცია, რომელიც იყო შესანიშნავი შესაძლებლობა. რაც შეეხება ყირგიზეთს, ბევრი ამის თაობაზე მაინცდამაინც არ ვიცი, მაგრამ ვიცი ის, რომ ჩემი კოლეგები რუსეთიდან მეუბნებიან, რომ ჩვენ ვმართავთ საქართველოს პოლიტიკას. ასე არ არის. პრობლემები არსებობს, მაგრამ გერმანია და აშშ ერთი მიმართულებით მუშაობს, ჩვენ შევიძუშავებთ საერთო სტრატეგიას. ხშირად მითქვამს, ჩემი ცხოვრების პროექტი არ დასრულდება, ვიდრე არ დასრულდება ჩემი ცხოვრება. ჩემი ცხოვრების პროექტი კი, გაფართოებულ ევროპაში მდგომარეობს. ეს შესაძლოა, არც მოესწროს ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ მე მაინც ვმუშაობ ამ მიმართულებით. ის, რომ თქვენ გსურთ დასავლეთთან დაახლოება, ესეც თქვენი ცხოვრების პროექტი უნდა იყოს. მე რომ ვიყო მეფე დავითი და შემეძლოს ამ პრობლემების გადაწყვეტა ათ წელიწადში, წარმოიდგინეთ ვინ მიიღებდა ყველაზე მეტ სარგებელს აქედან? რა თქმა უნდა, რუსეთი. მაგრამ როგორ უნდა დავარწმუნოთ ის, რომ მან უნდა ითანამშრომლოს მანიპულაციებისა და დაშინების ნაცვლად. ირისი ალბათ ხვდება, რისი თქმაც მინდა. ომის შემდგომ პერიოდში მთელი დიპლომატიები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ თავიანთი მეზობელი ქვეყნები, რომ არ უნდა სძულდეთ გერმანია. ერთ-ერთი დიპლომატი ჩამოვიდა გერმანიაში და თქვა, რომ რუსების ყველას ეშინია. მერე რა, ეს კარგია, თქვეს რუსებმა. ეს მენტალიტეტი შესაცვლელი. ეს არის მთავრი პრობლემა და არა აშშ.

თინა ხიდაშელი – დღეს აქ წარმართული საუბრის მიხედვით, პრობლემა ამერიკის შეერთებულ შტატებშია. საერთოდ, რატომ ითვლება, რომ უკრაინამ რაღაც ისეთი რაიმე წააგო, რომელიც მის ბედს უკუღმა დაატრიალებს. ჩვენ შესაძლოა, სხვა ხედვა გვაქვს, მაგრამ ასეთი იყო უკრაინელი ხალხის არჩევანი. მე ვფიქრობ, რომ უკრაინამ ფუნდამენტურად მოიგო, შესაძლებელია არა ძალიან მოკლე ვადაში, მაგრამ მოიგო გრძელვადიანი ვადით. და არაფერი ტრაგიკული იქ არ მომხდარა. ყირგიზეთში სრულიად სხვა ისტორიაა. ერთადერთს ვიტყვი, ეს ის ხალხია, რომელმაც მოახდინა 2005 წლის რევოლუცია ყირგიზეთში. ყველა, გარდა ბაკიევისა. ასე რომ, იქ განსხვავებული ადამიანები არ მოსულან ხელისუფლებაში. ეს ხალხი 2005 წელს უკვე იყო მოსული ხელისუფლებაში. რა თქმა უნდა, არაფერ შუაში არ არის აშშ. იმიტომ რომ ყველა ქვეყანა თავად აკეთებს თავის არჩევანს თავად იგებს ან აგებს, თავად განსაზღვრავს საკუთარ ბედს და მომავალს.

ამ წიგნში ძალიან საინტერესოდ არის მოთხრობილი ომის დაწყებამდე 2-3-წლიანი პერიოდის შესახებ. იგივე პრობლემამდე მივდივართ, რამდენად გაიცნობიერა თითოეულმა ჩვენთაგანმა დაშვებული შეცდომები. წიგნში არის საუბარი 2004 წელს ცხინვალში პირველ შევარდნაზე, ოღონდ მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილის კონტექსტში. ამ ქვეყანას, მგონი მაშინაც ჰყავდა მთავარსარდალი, თან ისეთი ძალაუფლებით, როგორც იმის მერე აღარ ჰქონია. პრობლემის ნაწილობრივი დანახვა არა მგონია, ხელს უწყობდეს მეგობრებს გამოფხიზლებაში, თუ ეს არის ჩვენი ამოცანა.

ბატომა ვიამ ისაუბრა ტოპონიმების დაბრუნებაზე. მაგრამ არაფერი უთქვამს ზემო აფხაზეთზე. ერთი დავაბრუნეთ, მეორე გავიჩინეთ.

ასევე გაკვრით არის წიგნში საუბარი ჩვენი ხელისუფლების საეტაპო შეცდომაზე, დანაშაულზე, რომელიც 2006 წლის სექტემბერში ჩაიდინა, როდესაც სკანდალით გადასცა რუსეთს ჯაშუშები. წიგნში მოთხრობილია, როგორ გამოუშვეს ქართველები მოსკოვიდან საბარგო თვითმფრინავებით, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, როგორ მოხდა ამის პროვოცირება. ეს არ არის მეგობრის სარკეში ჩახედება. ასე ჩვენ ვერ გავაცნობიერებთ სხვადასხვა წლებში ჩადენილ საეტაპო მნიშვნელობის დანაშაულებს, რომლებმაც მიგვიყვანა 2008 წლის 7 აგვისტომდე.

და ბოლოს, 2007 წლის ნოემბერი. წიგნში მხოლოდ ერთი ფრაზაა იმის შესახებ, რომ ოპოზიცია ატარებდა აქციებს, რომელიც გამოვიდა კონტროლიდან, რის გამოც ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა შემოიღო. არც ერთი სიტყვით არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რაც მოხდა და რის შემდეგაც იქნა შემოღებული საგანგებო მდგომარეობა. ყოველივე ეს აგვაცდენს დისკუსიის მთავარი ღერძიდან, რომ კარგად დავინახოთ და გავაცნობიეროთ ჩვენი შეცდომები.

ირაკლი ცომაია – 1991 წლიდან მოყოლებული, როდესაც დაიწყო საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტი, დასავლეთის ქვეყნები ეუბნებიან საქართველოს, რომ არ აწარმოოს მოლაპარაკებები რუსეთთან, მაგრამ რამდენიმე დღის წინ დაიბეჭდა სტატია მედვედევზე. საერთაშორისო სამიტზე მან მიმართა დასავლეთის ქვეყნებს, რომ ისინი შესაძლოა იყვნენ პარტნიორები, მაგრამ არ უნდა ასწავლონ მათ. ეს კაცი არის ლიდერი ახალი დემოკრატიული რუსეთის. როგორ ფიქრობთ, უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ასეთი დამოკიდებულება ოდესმე შეიცვლება?

შორენა შავერდაშვილი – ბირთვული სამიტის შემდეგ საუბრობენ ობამას დოქტრინის ჩამოყალიბებაზე საგარეო პოლიტიკაში. როგორ ფიქრობთ, ობამას ადმინისტრაციას უკეთ ესმის, ან ეთანხმება თქვენს დასკვნებს, იმიტომ რომ ძალიან დიდი სექპტიციზმი იყო საქართველოში ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულ არჩევნებამდე, რომ ობამას ადმინისტრაცია არ იქნებოდა დაინტერესებული ამ რეგიონით.

რონალდ ასმუსი – შემიძლია ვითხრათ, რომ მე ვარ ამერიკელი. თქვენი ამბიციები ძალდა უნდა დააყენოთ. ჩემი აზრით, რუსეთში ადგილი ექნება ცვლილებებს, არ ვფიქრობ, რომ რუსებს არ აქვთ უნარი, დემოკრატები გახდნენ. ძნელია მათი დადანაშაულება იმაში, რომ ისინი ავტორიტარულ რეჟიმში ცხოვრობენ. ეს სტრატეგია ალერგიას ასახავს ჩვენი პოლიტიკის მიმართ, სხვათა შორის, დემოკრატებშიც. მივიდეთ სახატავ დაფასთან და ვთქვათ, რას გავაკეთებთ ახლა. უნდა ვიმუშაოთ რუსეთის მთავრობასთან ისეთთან, როგორც ის ახლა არის და გქვონდეს ისეთი სტრატეგია, რომ რუსეთში ცვლილებები შესაძლებელი გახდეს. ჩემი აზრით, რუსეთი ძალიან შეიცვლება რამდენიმე წელიწადში. უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ ვიმუშაოთ რუსეთის სამოქალაქო საზოგადოებასთან და როგორ ჩავრთოთ ისინი ცვლილებებში. უიმედოც რომ იყოს ეს საქმე, მაინც არ უნდა შევწყვიტოთ მცდელობა. თუ რუსეთი უკეთესისკენ შეიცვლება, ეს თქვენთვისვე იქნება კარგი. კლინტონის კამპანიაში ვმუშაობდი, მხარს ვუჭერ პრეზიდენტ ობამას. ბევრი მეგობარი მყავს ამ ადმინისტრაციაში. ობამა ჯერ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული როგორც სტრატეგიული მოაზროვნე, მხოლოდ 18 თვეა, რაც პრეზიდენტია. ყველა ცდილობდა ევროპელებისთვის შთაეგონებინა, რომ დემოკრატები

სრულიად გამოთავყვანდებიან ხოლმე, როდესაც საკითხი რუსეთს ეხება. მაგრამ არ ვიცი, რესპუბლიკელები უკეთესად მუშაობენ? შესაძლოა. ალბათ უკეთესად მუშაობენ ამ რეგიონთანაც, მაგრამ ბუმის პოლიტიკაც რომ ჩავარდა ამ რეგიონში? ჩემი აზრით, ახალ ადმინისტრაციას ჯერ კიდევ არ აქვს თავისი პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში. როგორ ფიქრობთ, თეთრ სახლში რომ ვისხდეთ, რა საკითხებზე გავაკეთებდით ფოკუსირებას? ირანზე, ავღანეთზე. შუა აღმოსავლეთსა და საქართველოზე იმდენად არა. ასეთი ტერმინი რომ ვიხმაროთ, ვფიქრობ, მოზაიკას რამდენიმე ნაწილი აკლია, NATO-ს სჭირდება სამუშაოს ჩატარება. ბალკანეთის მიმართულებით ეს გაკეთდა. ობამას ხშირად ეუბნებიან, რომ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი ავღანეთის და პაკისტანის საკითხი. ჯერ კიდევ არის გადასაწყვეტი ბალკანეთის, კავკასიის საკითხები. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ვაშინგტონში დაძაბული მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ საბოლოოდ, ალბათ ლისაბონში პრეზიდენტის პოზიცია უფრო ნათელი გახდება. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს არავინ მიატოვებ, თუმცა დღეს ის არ არის პოლიტიკის ცენტრში. თქვენ უნდა გადაირჩინოთ თავი ორი-სამი წლის განმავლობაში, ჩვენც შევიმუშავებთ სტრატეგიას და შემდეგ უკეთესი საშუალება გვექნება წინ მოძრაობისთვის. არ უნდა დავუშვათ შეცდომები. გულახდილები უნდა ვიყოთ და ერთად უნდა ვეძებოთ გზები, როგორ გამოვიდეთ ამ სიტუაციიდან.

გია ნოდია – მორალურ პათოსს ვეთანხმები, მაგრამ ამავე დროს მინდა ვთქვა, რომ მორალური პათოსი სახიფათოც არის ანალიტიკოსისთვის. ზედმეტი მორალიზება შეიძლება შეცდომის მომტანი იყოს. არ არის სწორი ყველაფრის სხვისთვის გადაბრალება, მაგრამ არც ის იქნება სწორი, ყველაფერი საკუთარ თავზე დაიბრალო და თვითგვემაში ჩავარდე. უნდა თქვა ის, რაც შენი აზრით ჭკუასთან ახლოს არის და არგუმენტებით საბუთდება. ამას ვამბობ დასძულ შეკითხვასთან დაკავშირებით, საქართველო ძლიერი დემოკრატიის ქვეყანა რომ ყოფილიყო, მიგვიღებდნენ NATO-ში თუ არა. მეც ძალიან მინდა საქართველო რომ კონსოლიდირებული დემოკრატია იყოს. რა თქმა უნდა, 7 ნოემბერი ძალიან ცუდი იყო და მან შელახა ჩვენი საერთაშორისო პრესტიჟი. ანგელა მერკელს ალბათ ერთი არგუმენტით ნაკლები ექნებოდა ბუქარესტში, მაგრამ მაინც ექნებოდა საკმარისი არგუმენტი იმისთვის, რომ დაებლოკა საქართველო, იმიტომ რომ ის ინტერესები ჰქონდა, რაც ჰქონდა. დემოკრატია ძალიან გვჭირდება, მაგრამ თუ ამის ახსნა გვინდა, ეს სხვა საკითხია.

თინა ხილაშელი – არ მითქვამს, რომ თვითგვემაში უნდა ჩავვარდეთ. ეს ჩემი ცხოვრების პრინციპებს ეწინააღმდეგება. მაგრამ კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩემს აზრს, რომ თუ მხოლოდ სხვისკენ გავიშვერთ თითს, ამ თითს უბრალოდ მოგვტეხავენ. ეს დაგვემართა აგვისტოშიც. ამიტომ მომხდარის რეალისტური ხედვა უნდა გვქონდეს. მთავარი კითხვა, რომელზეც ამ ტიპის წიგნებით პასუხი უნდა გავცეს, არის ის, იყო თუ არა ეს დავითის და გოლიათის ბრძოლა. ამ კითხვაზე რაც უფრო სწრაფად გავცემთ პასუხს, გაცილებით მარტივად ჩამოვყალიბდებით იმაზე, თუ საით მივდივართ და როგორ ქვეყანას ვაშენებთ. ჩემი აზრით, ეს იყო არა დავითსა და გოლიათს შორის ბრძოლა, არამედ ორ გოლიათს შორის ბრძოლა, რომელთაგან ერთი უფრო სუსტი აღმოჩნდა და ძლიერმა სძლია.

როდესაც „პარიზის ქარტიაზე“ იყო საუბარი, ითქვა, რომ დასავლეთი თავის ღირებულებებს უნდა იცავდეს, მიუხედავად იმისა როგორი რეჟიმია ამა თუ იმ ქვეყანაში. მე ერთი შეკითხვით შემოვიფარგლები ამ შემთხვევაში, როგორ უნდა მოქცეულიყო დასავლეთი აგვისტოს ომის დროს საქართველოში. მოსკოვი უნდა დაეობა? რა თქმა უნდა, უტრირებას ვახდენ. თუკი ქვეყანა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ აგვისტო დადგეს, ვფიქრობ, რომ შესაძლებლობები ძალიან შეზღუდული აქვს ღირებულებების დამცავ დასავლეთს. ამიტომ ძალიან რეალისტურად უნდა შევხედოთ ჩვენს შესაძლებლობებს, ჩვენი პარტნიორების მოტივაციას ჩვენს დაცვასთან დაკავშირებით. ამ გზით უნდა ვიაროთ და არა იმ ილუზიით, რომ რუსეთი დაიშლება და მერე ჩვენც გვეშველება. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას მოსმენისთვის. იმედი მაქვს, მეტნაკლებად შევძელით თქვენი ინტერესის დაკმაყოფილება.

ნინო დანელია – დიდი მადლობა. ახლა ქალბატონ ირისს გადავცემ სიტყვას.

ირის კეძე – მე არ ვანებებ დემოკრატიულ რუსეთზე ოცნებას თავს და მიხარია, რომ მარტო არა ვარ. რას ნიშნავს ნათლად გამოხატული დემოკრატიული უკრაინა და საქართველო? უნდა ვიგულისხმოთ ეს ქვეყნები, როდესაც გაფართოებული ევროკავშირის რუქას ვაღგენთ. ევროპელებისთვის ეს გამომაფხიზლებელი ხარი უნდა იყოს, ევროპული ხელშეკრულების შედეგები წინასწარ უნდა გავიაზროთ, ვფიქრობ, დემოკრატია ვითარდება ჩვეს ოფისშიც და, ვფიქრობ, ამაში თქვენც დარწმუნდით. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გიხდით ყველას.

ნინო დანელია – ვიდრე ბატონ ასმუსს გადავცემდე სიტყვას, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ამ თემით დაინტერესებისთვის. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ჩვენს მომხსენებლებს, იმიტომ რომ ეს ძალიან რთული თემაა სასაუბროდ. ჯერ არც ისე დიდი დროა გასული საიმისოდ, ტრავმირებული საზოგადოება ვართ და გვეჭირდება მომხდარის გაანალიზება, რა მოხდა და იმ გზების ძიება, რომლითაც უნდა ვიაროთ მომავალში. ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე ეს წიგნი და კიდევ ერთხელ განვიცადე მომხდარი. არ შემიძლია არ ვთქვა, 13 მარტს ძალიან გავბრაზდი იმის გამო, რა მდგომარეობაშიც აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა. და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ თითოეულ ჩვენგანზე არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ბედი. ეს დამოკიდებულია ჩვენს აქტიურობაზე, რომ ყველგან, სადაც კი შეგვიძლია, დავიცვათ ჩვენი, ანუ ევროპული ფასეულობები, რომლებიც საბოლოოდ უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის წარმატების საწინდარი.

ქართულენოვან აუდიტორიას ექნება საშუალება ქართულ ენაზე წაიკითხოს ეს წიგნი. ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა უკვე თარგმნის მას და ამზადებს გამოსაცემად. აგვისტოს დასაწყისში წიგნი ალბათ უკვე ხელმისაწვდომი იქნება თქვენთვის.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ბატონ რონალდს იმისთვის, რომ მოგვცა საშუალება გვემსჯელა ამ წიგნის შესახებ.

რონალდ ასმუსი – მე მგონი, საკმარისი ვისაუბრე. მადლობას ვუხდის ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს მოწვევისთვის და ყველა თქვენგანს ამ თემით დაინტერესებისთვის.